ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2410527

ნომერი: AR1368031

თარიღი : 31.12.2015

გაცემის თარიღი : 01.02.2016

გაცნობის თარიღი : 02.02.2016

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გრიშაშვილი , N 11 , მიმდებარედ (ნაკვეთი 19/016)/ ქალაქი თბილისი , ქუჩა გრიშაშვილი , N 11 / ქალაქი თბილისი , ქუჩა გრიშაშვილი , N 11 , მიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მირიან საღარეიშვილი პ/ნ 01025011948
- თბილისი ზაალ ქიქოძის 16

ნომენკლატურა :

- სასტუმრო
- IV კლასი
- ახალი მშენებლობა
- სტადიები:
  - პროექტის შეთანხმება
  - მშენებლობის ნებართვა

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: 2257481
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 26.10.2015

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: ოჯახური ტიპის სასტუმრო
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: მირიან საღარეიშვილი

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შ.პ.ს. აბანო #7
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 2024513664
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ვაჟა ჩუბინაშვილი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01028004521

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 3271.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 589.0
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 2246.0
- .საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 933.0
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 652.0
- .სარდაფის ფართობი (კვ.მ).: 431.0
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 230.0
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 9410.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 7410.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 2000.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 19.65
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 15.15
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 4.5
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : (სსზ2)=1994/2831=0.7 (რზ2)=322/440.4=0.7
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : (სსზ2)=2351.8/2831=0.8 (რზ2)=1055.8/440.4=2.4
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : (სსზ2)=243.61/2831=0.1 (რზ2)=48.4/440.4=0.1

,,კულტურული მემკვიდრეობის შესახებ” საქართველოს კანონის, „კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 მარტის N137 დადგენილების, ,,საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსგან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის უფლებამოსილების დელეგირების თაობაზე” ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის N91 განკარგულებით დამტკიცებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 აპრილის N9-34 დადგენილების თანახმად ქ. თბილისში, გრიშაშვილის ქ. N11–ის მიმდებარედ (ნაკვეთი 19/016), გრიშაშვილის ქ. N11/გრიშაშვილის ქ. N11–ის მიმდებარედ სასტუმროს პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის საკითხი განხილული იქნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოზე (ოქმი N4, 29.01.2016 წ), რომლის გადაწყვეტილების საფუძველზეც აღნიშნულ საკითხს ეთქვა უარი. რეკომენდაცია: "დაიხვეწოს ფასადების არქიტექტურულ–მხატვრული სახე უბნის შესაბამისად. წარმოდგენილი იქნეს განშლები, ფოტომონტაჟები რეალური აღქმის წერტილებიდან საპროექტო შენობის უკან მდებარე ნაგებობის ჩვენებით".

სამსახურმა გაითვალისწინა საბჭოს გადაწყვეტილება და მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ განმცხადებელს, მოქ. მ. საღარეიშვილს უარი უნდა ეთქვას თხოვნის დაკმაყოფილებაზე.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

1. უარი ეთქვას მოქ. მ. საღარეიშვილს ქ. თბილისში, გრიშაშვილის ქ. N11–ის მიმდებარედ (ნაკვეთი 19/016), გრიშაშვილის ქ. N11/გრიშაშვილის ქ. N11–ის მიმდებარედ სასტუმროს წარმოდგენილი პროექტის შეთანხმების თაობაზე.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.